ვახტანგ როდონაია
ავთანდილ არაბული
ნინო ნაკუდაშვილი
მარინე ხუციშვილი

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი

5

II ნაწილი

ისტორია

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ლექსი დავით მაღრაძისა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ქართული ლიტერატურა

V

მოსწავლის წიგნი

II ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

სხივები

2018

ქართული ლიტერატურა

V კლასის სახელმძღვანელო

II ნაწილი

ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

რედაქტორები: მაია ჯალიაშვილი
ფატი ფირუაშვილი

მხატვარი-დიზაინერი: მარიამ ჯანდიერი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

სახელმძღვანელოში გამოყენებულია დიმიტრი ერისთავის, ელენე ახვლედიანის, ლევან ცუცქირიძის ფერწერული ნამუშევრები.

© „სწავლანი“, 2018 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39
ტელ.: 2 36 91 85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9548-9-4
ISBN 978-9941-9548-8-7

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili
GEORGIAN LITERATURE 5 (II)
First Edition, 2018
Published by STSAVLANI Publishing

შინაარსი

II ნაწილი

I თავი. სახელოვანი წინაპრები

ვახტანგ მეფე – ხალხური 7
ვახტანგ მეფე – შოთა ნიშნიანიძე 8
თამარის დროშა გაშალეს – გრიგოლ ორბელიანი 9
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი – ილია ჭავჭავაძე 11
მტრის ძლევა – ილია ჭავჭავაძე 17
ასეთი დარი თუ იყო მაშინ – ანა კალანდაძე 18
თბილისი – ოთარ ჭილაძე 20
კრწანისის ყაყაჩოები – ლადო ასათიანი 21
სიზმარი – აკაკი წერეთელი 22
ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი – უცნობი ავტორი 24
ვაჟკაცსა გული რკინისა – ხალხური 25
კიდევაც დაიზრდებიან – ხალხური 26

II თავი. შოთა და საბა

ვეფხისტყაოსანი – შოთა რუსთაველი – **ამბავი**
როსტევან არაბთა მეფისა 29
სიბრძნე-სიცრუისა – სულხან-საბა ორბელიანი –
იგავ-არაკები: უსამართლო შირვანშაჰი 34
მეფე და ავსიტყვა 36
ორმოში ჩაგდებული მეფე 125
ენით დაკოდილი 37
უტკბესი და უმწარესი 40

III თავი. რა ხდება ზღაპარში?

პატარა დინოზავრი – გურამ პეტრიაშვილი 43
პეპელა – გურამ პეტრიაშვილი 48

IV თავი. ადამიანი და ბუნება

არაგვს – ნიკოლოზ ბარათაშვილი 55
გაზაფხულ იყო მაშინა – ხალხური 57
შვლის ნუკრის ნაამბობი – ვაჟა-ფშაველა 58
თუთა – ანა კალანდაძე 69
მუხა – რევაზ ინანიშვილი 71
ცელი კივის – გალაკტიონ ტაბიძე 74
ქარი ჰქრის – გალაკტიონ ტაბიძე 76
გაზაფხული – ილია ჭავჭავაძე 78

V თავი. პირისპირ

გაღმივლები – გოდერძი ჩოხელი 81
ბიბლიური ისტორია — იაკობ გოგებაშვილის მიხედვით 88

ხახელოვანი წინაპრები

ვინ დააარსა თბილისი? კიდევ რა იცით ამ მეფის შესახებ? მოდით, ერთად წავიკითხოთ ვახტანგ მეფისადმი მიძღვნილი ლექსი და დავაკვირდეთ, როგორ გვიხატავს ხალხური პოეზია სახელოვან გმირს.

ვახტანგ გორგასალი.
მხატვარი გიორგი გეგეჭკორი.

ვახტანგ მეფე

(ხალხური)

ვახტანგ მეფე[1] ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ:

1. რა არის ნათქვამი პირველ სტრიქონში?
2. საიდან უხმეს ვახტანგ მეფეს? ვინ უხმო მას? ვისი რჩეული ყოფილა იგი?
3. როგორ იქცევა ღვთის რჩეული მეფე?
4. რამ მოდრიკა მთები: ვახტანგის არაჩვეულებრივმა ძალამ თუ იმან, რომ მეფე ღმერთთან მიეშურება და მთებს მის მიმართ მოწიწება მართებთ?

1 **ვახტანგ მეფე** – იგულისხმება ვახტანგ გორგასალი, მეფობდა მეხუთე საუკუნეში, გარდაიცვალა 502 წელს.

5. ამ პატარა ლექსში თოთხმეტი სიტყვაა. მათგან ორი ხმოვანებით ერთმანეთს ჩამოჰგავს. მოძებნეთ ეს სიტყვები. დააკვირდით, სად არის ეს სიტყვები მოთავსებული – სტრიქონის თავში, შუაში თუ ბოლოში?

ახლა ორი მსგავსი სიტყვიდან ერთს ადგილი შევუცვალოთ:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა **რეკა**,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა **დრეკა** იწყეს.

ან ასე:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან **რეკა** ჩამოესმა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს **დრეკა**.

რას ამჩნევთ, გაუფერულდა თუ არა ლექსით მიღებული სიამოვნება? ხომ არ დავაბრუნოთ სიტყვები თავიანთ ადგილზე?

ახლა შოთა ნიშნიანიძის ლექსი წაიკითხეთ და დააკვირდით, რა აიღო პოეტმა ხალხური ლექსიდან და რა მიამატა მას.

შოთა ნიშნიანიძე

* * *

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა,
ღვთის ნებით და ღვთის კარნახით
სპარსნი ქართლით გადარეკა.
ყრმას ძუ მგელი ჰყავდა ძიძად და მგელკაცად გაიზარდა –
რა მგლის ფერი!
რა მგლის თვალი!
რა მგლის მუხლი!
რა მგლის მადა!
ქართლის ცა და მგლის სიავე[1] თავზე ადგა მუზარადად,
მტერს ხაფი ხმით[2] დაჰყიოდა
და ზურგის ძვალს უბზარავდა.
ახსოვს მისი ნაფეხური ამ ულრან ტყეს,
ნამუხარ მთებს,
ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
და კაცს როგორ არ უყვარდეს!

1 **სიავე** — აქ: შემართება, შეუპოვრობა.
2 **ხაფი ხმა** — მჭექარე, ზარდამცემი ხმა.

წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ:

1. დააკვირდით ლექსის პირველ სტრიქონს. საიდან არის ის აღებული?
2. როგორ გააგრძელა პოეტმა ხალხური ლექსიდან აღებული სტრიქონები? არის თუ არა ამ სტრიქონებში გადმოცემული ინფორმაცია ხალხურ ლექსში?
3. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ ბრძოლის დროს ვახტანგ გორგასალს თავზე მგლის გამოსახულებიანი მუზარადი ეხურა. აქედან წარმოდგება თურმე მისი მეტსახელი „გორგასალი“, რაც სპარსულად „მგლის თავს“ ნიშნავს. როგორ აისახა ეს ისტორიული ინფორმაცია შოთა ნიშნიანიძის ლექსში?
4. როგორ ფიქრობთ, ამ ორი ლექსიდან რომელ მათგანშია მოცემული უფრო მეტი ისტორიული ინფორმაცია ვახტანგ მეფის შესახებ? რომელი უფრო მეტად განადიდებს მეფეს?

რა გსმენიათ თამარ მეფის შესახებ? წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და დააკვირდით, როგორ გვიხატავს პოეტი თამარისდროინდელ საქართველოს.

გრიგოლ ორბელიანი

თამარის დროშა გაშალეს

(ნაწყვეტი პოემიდან „სადღეგრძელო“)

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა[1] დიდუბეს ლაშქარი;
კახი – ფარ-შუბით, თუში – ხმლით, ფშავ-ხევსურს
შვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით – ქართელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი – ფეხმარდი, მთიული – ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი – სწავლითა ქებული, გმირი იმერი – ზრდილობით,
და მშვილდოსნობით – აფხაზი, გურული, მეგრი –
მკვირცხლობით;
თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს[2] გულის უხვებით,[3]
გული მეფისა ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით.

1 **შეკრბა** – შეიკრიბა.
2 **ამხნევს** – ამხნევებს.
3 **უხვებით** – სიუხვით.

ეცით თუ არა?

თამარ მეფეს ბასიანის ომში (1203 წ.) მიმავალი ლაშქარი თავისი ჯვრით დაულოცავს. შამქორის ომის (1195 წ.) შემდეგ კი გამარჯვებული ქართველთა ჯარი დიდუბის ველზე დაბანაკებულა.

წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ:

1. ჩვენი წინაპრები დროშას დიდი ქართველი მეფეების სახელებს არქმევდნენ. ცნობილია „გორგასლიანი“, „დავითიანი“ დროშები. ამჯერად რომელ დროშაზეა საუბარი? რატომ გაშალეს იგი?
2. რომელი ორი ისტორიული ფაქტი აისახა გრიგოლ ორბელიანის ლექსში?
3. თმარის დროშის ქვეშ დარაზმულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები. ამასთან, ერთი კუთხის შვილი რატომღაც მხოლოდ ერთი თვისებით არის წარმოდგენილი, მეორე – მეორით და ა.შ. თანაც თითოეული კუთხის შვილს საბრძოლო აღჭურვილობის მხოლოდ ნაწილი აბადია. როგორ ფიქრობთ, რას გვეუბნება ამით პოეტი?
4. ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს ძლიერებისათვის ქართველებთან ერთად საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხებიც იბრძოდნენ. მათი კეთილდღეობაც ჩვენი ქვეყნის ერთიანობაზე იყო დამოკიდებული. რომელ მოძმე ხალხებს იხსენიებს პოეტი ერთიან ქართულ ლაშქარში?
5. თამარ მეფის რომელ პიროვნულ თვისებაზე ამახვილებს პოეტი ყურადღებას ლექსის დასასრულს?